tbcinsurance.ge

ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები

MO 001/24

თიბისი დაზღვევა
TBC INSURANCE

დაზღვევა
გასაგებ ენაზე

MO 001/24

ტერმინთა განმარტება

tbcinsurance.ge

წინამდებარე დაზღვევის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ ქვემოთ მოცემული მნიშვნელობები:

მზღვეველი
სს „თიბისი დაზღვევა“, ანუ **ჩვენ**.

დამზღვევი
ფიზიკური/იურიდიული პირი, რომელთანაც ფორმდება დაზღვევის ხელშეკრულება და რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი სადაზღვევო პრემიის გადახდაზე, ანუ **თქვენ**.

მოსარგებლე
სადაზღვევო პოლისში დასახელებული ფიზიკური/იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია დაზღვევის პირობების საფუძველზე მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება.

უფლებამოსილი მძღოლი
ნებისმიერი პირი, ვინც მითითებულია სადაზღვევო პოლისში, არის არანაკლებ 18 წლისა და ფლობს შესაბამისი კატეგორიის ავტოტრანსპორტის მოქმედ მართვის მოწმობას, სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მესამე პირი
ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, გარდა დამზღვევის, მოსარგებლის, დაზღვეული ავტოტრანსპორტის მესაკუთრის, მათი ოჯახის წევრ(ებ)ისა და დაზღვეული ავტოტრანსპორტის მძღოლისა და მგზავრ(ებ)ისა.

ოჯახის წევრი
დამზღვევის, მოსარგებლის, მესაკუთრის ან უფლებამოსილი მძღოლის მეუღლე, შვილები, გერები ან/და მშობლები (დედობილის და მამობილის ჩათვლით).

დაზღვევის ხელშეკრულება
დაზღვევის პირობების, გაცემული სადაზღვევო პოლისის, მათი დანართ(ებ)ის და განაცხად(ებ)ის (თქვენ მიერ ჩვენთვის წერილობითი ან ელექტრონული ფორმით მიწოდებული ინფორმაცია) ერთობლიობა.

MO 001/24

სადაზღვევო პოლისი
მზღვეველის მიერ გაცემული დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია სადაზღვევო დაფარვის დეტალები. სადაზღვევო პოლისსა და დაზღვევის პირობებს შორის განსხვავებების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება სადაზღვევო პოლისს.

სადაზღვევო პერიოდი
სადაზღვევო პოლისში მითითებული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია.

სადაზღვევო პრემია
დაზღვევის საფასური, რომლის ოდენობა და გადახდის წესი მითითებულია სადაზღვევო პოლისში.

დაზღვეული რისკი
სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებული მოვლენა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სადაზღვევო შემთხვევა.

სადაზღვევო შემთხვევა
დაზღვეული რისკ(ებ)ით გამოწვეული შემთხვევა.

სადაზღვევო ანაზღაურება
ფულადი ანაზღაურება, რომელსაც გასცემს მზღვეველი სადაზღვევო შემთხვევისას.

სადაზღვევო თანხა / ანაზღაურების ჯამური ლიმიტი
სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა. ანაზღაურების ჯამური ლიმიტი შესაბამისი სექციისთვის განისაზღვრება ცალ-ცალკე და მითითებულია სადაზღვევო პოლისში.

ანაზღაურების ქველიმიტი
კონკრეტული შემთხვევისთვის განსაზღვრული ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა, სექციისთვის გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის/ანაზღაურების ჯამური ლიმიტის ფარგლებში.

დაზღვევის ტერიტორია
სადაზღვევო პოლისში მითითებული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს დაზღვევა.

დაზღვეული ავტოტრანსპორტი
სადაზღვევო პოლისში მითითებული ავტოტრანსპორტი.

პირადი დანიშნულების ავტოტრანსპორტი
ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში ან მინდობილ საკუთრებაში არსებული ავტოტრანსპორტი, რომელიც არ გამოიყენება კომერციული საქმიანობისთვის.

MO 001/24

კომერციული საქმიანობა
მგზავრების გადაყვანა ანაზღაურების სანაცვლოდ, გაქირავება, ტვირთის გადაზიდვა, კურიერული საქმიანობა, თანამშრომლების მომსახურება ავტომობილით, ადმინისტრაციული, ლოჯისტიკური და სხვა კომერციული საქმიანობა.

ავტოსაგზაო შემთხვევა
შეჯახება დაზღვეული ავტოტრანსპორტის მონაწილეობით, რომლის დროსაც დაზიანდა მოძრავი ან უძრავი ქონება, დაშავდა ან დაიღუპა ადამიანი.

სტიქიური მოვლენები
წყალდიდობა, ჰაერის მასების მოძრაობა 25 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარით, მეწყერი, ზვავი, ღვარცოფი, სეტყვა, მიწისძვრა და მეხი.

ვანდალიზმი
დაზღვეული ავტოტრანსპორტის განზრახ დაზიანება ან განადგურება მესამე პირ(ებ)ის მიერ.

ტექნიკური გაუმართაობა
დაზღვეული ავტოტრანსპორტის მართვისა და ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი მდგომარეობა ან/და მისი ნებისმიერი სისტემის, მათ შორის, ელექტროსადენების ან/და მოწყობილობების, მუხრუჭების, უსაფრთხოების ბალიშების, გაზის აპარატურის ან/და სისტემის, წვის სისტემის, სავალი ნაწილის და ძირითადი კვანძების (ძრავა, გადაცემათა კოლოფი, გადაბმულობა) გაუმართაობა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ან ხელი შეუწყოს დაზღვეული რისკის დადგომას.

ავტოტრანსპორტის ძარა
ავტოტრანსპორტის ძარა და მასზე ქარხნულად დამონტაჟებული დეტალები, სარკეები, სხვა მოწყობილობები და აქსესუარები, რაც მისი განუყოფელი ნაწილია.

არაქარხნული დეტალი
ავტოტრანსპორტის ნებისმიერი ნაწილი, დეტალი თუ აქსესუარი (მათ შორის, სანომრე ნიშნები), რომელიც არ ფიქსირდება ავტომობილის კომპლექტაციაში VIN კოდის/შასის ნომრის შესაბამისად.

MO 001/24

საბაზრო ღირებულება

დაზღვეული ავტოტრანსპორტის ან/და მისი ცალკეული ნაწილების იდენტური მახასიათებლის მქონე ნივთის ღირებულება საქართველოს ბაზარზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის.

აღდგენის ღირებულება

სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტოტრანსპორტის აღსადგენად საჭირო სამუშაოს, აუცილებელი მასალებისა და სათადარიგო ნაწილების საბაზრო ღირებულება სადაზღვევო შემთხვევის დროისთვის.

ფრანშიზა

სადაზღვევო პოლისში მითითებული ან/და წინამდებარე დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული თანხა, რომელიც არ ანაზღაურდება და აკლდება დამდგარი ზარალის ოდენობას თითოეულ და ყველა შემთხვევაზე.

ნარჩენი ღირებულება

ავტოტრანსპორტის ღირებულება საქართველოს ბაზარზე მისი სრული დაზიანების შემდეგ.

გამოუმუშავებელი პრემია

სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, კონკრეტული თარიღიდან სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემია. პრემია გამომუშავდება ყოველდღიურად.

პრიორიტეტული მისამართი/ტელეფონის ნომერი

დამზღვევის მიერ მზღვეველისთვის ქრონოლოგიურად ბოლოს მიწოდებული ფაქტობრივი მისამართი, ელექტრონული ფოსტა და ტელეფონის ნომერი, რომელიც გამოიყენება დამზღვევისთვის შეტყობინების მიწოდებისა და კომუნიკაციისთვის, მათ შორის, ზარალის დარეგულირების მიზნით.

სადაზღვევო დაფარვები | მნიშვნელოვანი ინფორმაცია | გამონაკლისები

1. სადაზღვევო დაფარვა/სექციები

1.1. დაზღვევის პირობები მოიცავს შემდეგ **სადაზღვევო დაფარვას/სექციებს:**

სექცია A: **დაზღვეული ავტოტრანსპორტის ძარის** დაზიანება ან განადგურება **დაზღვეული რისკების** შედეგად;
სექცია B: **მესამე პირ(ებ)ის წინაშე** ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა.
სექცია C: **მძღოლისა და მგზავრების** უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა.

1.2. **თქვენი** შერჩეული **სადაზღვევო დაფარვა** მითითებულია **სადაზღვევო პოლისში.**

2. სექცია A – ავტოტრანსპორტის ძარის დაზღვევა

2.1. დაზღვეული რისკები

2.1.1. **ავტოტრანსპორტის ძარის დაზღვევის სექციით ჩვენ** ავანაზღაურებთ სადაზღვევო პერიოდში **ავტოტრანსპორტის ძარის** დაზიანებით ან განადგურებით მიღებულ ზარალს, გამოწვეულს შემდეგი **დაზღვეული რისკებით**:

- ავტოსაგზაო შემთხვევა;
- ავტომობილის ძარის გარე ვიზუალურ ნაწილზე ცხოველის ან/და ფრინველის მიერ მიყენებული დაზიანება;
- ხანძარი, აფეთქება;
- სტიქიური მოვლენები;
- ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა ან ამის მცდელობა;
- ვანდალიზმი;
- საგნ(ებ)ის დაცემა.

2.1.2. **სადაზღვევო პოლისში** მითითებული ტერიტორიული დაფარვის მიუხედავად, საქართველოს ფარგლებს გარეთ იფარება მხოლოდ **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** ძარის დაზიანება/განადგურება, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად.

2.2. სრული ზიანი/განადგურება და ნაწილობრივი ზიანი

2.2.1. **სადაზღვევო შემთხვევა** დაკვალიფიცირდება სრულ ზიანად/განადგურებად, თუ **სადაზღვევო შემთხვევის** შედეგად დაზიანებული **დაზღვეული ავტოტრანსპორტის აღდგენის ღირებულება** შეადგენს ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულების 70%-ს ან მეტს.

2.2.2. სრულ ზიანად/განადგურებად ასევე ჩაითვლება ავტომობილის ქურდობა/ძარცვა/ყაჩაღობით გამოწვეული ზიანი.

2.2.3. ამასთან, **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ, **ჩვენი** გადაწყვეტილების შესაბამისად, სრული ზიანის/განადგურების კვალიფიკაცია მივანიჭოთ შემთხვევას, როდესაც დაზიანებული **დაზღვეული ავტოტრანსპორტის ნარჩენი ღირებულების** და **აღდგენის ღირებულების** ჯამი აღემატება ავტომობილის საბაზრო ღირებულებას.

2.2.4. თუ არც ერთი ზემოაღნიშნული გარემოების შესაბამისად სრული ზიანის/განადგურების კვალიფიკაცია არ მიენიჭა ზარალს, შემთხვევა ჩაითვლება ნაწილობრივ დაზიანებად.

2.3. სადაზღვევო ანაზღაურება და მისი გამოთვლის წესი

2.3.1. **ავტოტრანსპორტის ნაწილობრივი დაზიანებისას:**

ჩვენ ავანაზღაურებთ დაზიანებული ავტოტრანსპორტის **აღდგენის ღირებულებას**, სადაზღვევო თანხის ფარგლებში, რომელსაც გამოაკლდება:

- **სადაზღვევო პოლისში** მითითებული **ფრანშიზა;**
- ნებისმიერი **მესამე პირ(ებ)ისგან** თქვენთვის გადახდილ კომპენსაციასა და **ფრანშიზის** თანხას შორის სხვაობა;
- ზარალის ანაზღაურების მომენტისთვის გადახდის გრაფიკით განსაზღვრული, გადაუხდელი **სადაზღვევო პრემია;**
- ჯამური სადაზღვევო პრემიის გადაუხდელი ნაწილი, თუ ავტოტრანსპორტის აღდგენის ღირებულება აჭარბებს სადაზღვევო თანხის 40%-ს.

მაგალითი

ავტომობილის პოლისით გათვალისწინებული **სადაზღვევო თანხაა 10 000 ლარი**, **ფრანშიზა – 50 ლარი,** ჯამური პრემიის **გადაუხდელი ნაწილი – 200 ლარი.**

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად **დაზიანებული ავტომობილის აღდგენის** ღირებულებამ შეადგინა **6 000 ლარი.**

იმის გათვალისწინებით, რომ ავტომობილის აღდგენის ღირებულება (6 000 ლარი) სადაზღვევო თანხის **40%-ზე მეტია,** ზარალის ოდენობას ასევე გამოაკლდება ჯამური სადაზღვევო პრემიის გადაუხდელი ნაწილი. შესაბამისად, **ასანაზღაურებელი თანხა** შეადგენს **5 750 ლარს** (*6 000 (აღდგენის ღირებულება) – 50 (ფრანშიზა) – 200 (გადაუხდელი პრემია)*).

2.3.2. **ავტოტრანსპორტის სრული დაზიანებისას:**

ჩვენ ავანაზღაურებთ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის **დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებას**, სადაზღვევო თანხის ფარგლებში, რომელსაც გამოაკლდება:

- სადაზღვევო პოლისში მითითებული **ფრანშიზა;**

პოლისში მითითებული ფრანშიზის მიუხედავად, თუ ზარალის დარეგულირების დროისთვის ავტომობილი წარმოადგენს ნებისმიერი სახის უზრუნველყოფას, ფრანშიზა განისაზღვრება სადაზღვევო თანხის 10%-ის ოდენობით. თუ პოლისით განსაზღვრულია 10%-ზე მეტი ფრანშიზა, გამოიყენება პოლისით გათვალისწინებული ფრანშიზა.

- ნებისმიერი **მესამე პირ(ებ)ისგან** თქვენთვის გადახდილ კომპენსაციასა და ფრანშიზის თანხას შორის სხვაობა;
- **სადაზღვევო პერიოდში** ანაზღაურებული ზარალ(ებ)ი;
- ჯამური **სადაზღვევო პრემიის** გადაუხდელი ნაწილი;
- **დაზღვეული ავტოტრანსპორტის ნარჩენი ღირებულება** (იმ შემთხვევაში, თუ ავტოტრანსპორტი გრჩებათ თქვენ).

ნარჩენი ღირებულების სადაზღვევო ანაზღაურებიდან გამოკლების თაობაზე გადაწყვეტილებას ვიღებთ **ჩვენ**.

მაგალითი

ავტომობილის პოლისით განსაზღვრული **სადაზღვევო თანხაა 25 000 ლარი**, **ფრანშიზა – ნულოვანი,** პირველი ზარალისას ჩვენი **ანაზღაურებული თანხა** – **500 ლარი.** ჯამური პრემიის **გადაუხდელი ნაწილი – 200 ლარი.**

მომდევნო ზარალისას, დაზიანების მომენტისთვის ავტომობილის **საბაზრო ღირებულებამ** შეადგინა **20 000 ლარი**, **აღდგენის ღირებულებამ – 18 000 ლარი,** ხოლო **ნარჩენმა ღირებულებამ – 2 000 ლარი**. ამასთან, შეთანხმდა, რომ ავტომობილი დარჩება თქვენს საკუთრებაში.

რამდენადაც აღდგენის თანხა *(18 000)* **აღემატება საბაზრო ღირებულების** *(20 000)* **70%**-ს, ავტომობილი ჩაითვლება **სრულად დაზიანებულად.** შესაბამისად, **ასანაზღაურებელი თანხა** შეადგენს **17 300 ლარს** (20 000 *(საბაზრო ღირებულება)* – 500 *(უკვე ანაზღაურებული ზარალი)* – 200 *(გადაუხდელი პრემია)* – 2 000 *(ნარჩენი ღირებულება)*).

2.3.3. **ავტოტრანსპორტის სრული დაზიანებისას ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობის შედეგად:**

2.3.3.1. თუ **დაზღვეულ ავტოტრანსპორტს** იპოვიან სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) მიერ გაცემულ ცნობაში სადაზღვევო შემთხვევის მითითებული თარიღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, **თქვენ**/მოსარგებლეს არ შეგიძლიათ მასზე უარის განცხადება. თუ ავტომობილი დაზიანებულია, ჩვენ გადავიხდით მხოლოდ დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად საჭირო შეკეთების/აღდგენის ხარჯებს.

2.3.3.2. თუ **დაზღვეულ ავტოტრანსპორტს** იპოვიან, როცა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) მიერ გაცემულ ცნობაში **სადაზღვევო შემთხვევის** მითითებული თარიღიდან გასულია 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტი, საკუთრების უფლება **დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე** გადმოდის **ჩვენზე**.

2.3.4. როგორც სრული, ისე ნაწილობრივი ზიანის შემთხვევაში, თუ **სადაზღვევო შემთხვევის** მომენტში სადაზღვევო თანხა ნაკლებია ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებაზე, **სადაზღვევო ანაზღაურების** გამოანგარიშებისას გამოიყენება პროპორციულობის მეთოდი, ანუ ასანაზღაურებელი თანხა შემცირდება ავტოტრანსპორტის სადაზღვევო თანხასა და **სადაზღვევო შემთხვევის** მომენტში მის საბაზრო ღირებულებას შორის არსებული პროპორციით. ამასთან, ფრანშიზის ოდენობა გამოიქვითება პროპორციულობის მეთოდის გამოყენების შემდეგ.

2.4 ზარალის შეფასება

2.4.1. თუ დაზიანებული/განადგურებული ავტოტრანსპორტის წლოვანება არ აღემატება 3 (სამ) წელს და მასზე ვრცელდება საგარანტიო მომსახურება, ავტოტრანსპორტის შეკეთების ღირებულების განსაზღვრა მოხდება შესაბამისი მარკის ავტორიზებულ სერვისცენტრში. ყველა სხვა შემთხვევაში, ზარალს შეაფასებენ **ჩვენი** შერჩეული ავტოსერვისცენტრ(ებ)ი, მეორადი ნაწილების ღირებულებაზე დაყრდნობით.

2.4.2. თუ დაზიანებულ **დაზღვეულ ავტოტრანსპორტს** შეაფასებს **თქვენი** შერჩეული ავტოსერვისცენტრი, მიუხედავად **თქვენი** და **ჩვენი** შერჩეული ავტოსერვისცენტრების მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების სხვაობისა, **ჩვენ** ვიტოვებთ უფლებას, **სადაზღვევო ანაზღაურება** გავცეთ **ჩვენი** შერჩეული ავტოსერვისცენტრის მომზადებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

2.4.3. თუ ვერ შევთანხმდებით ზარალის ოდენობაზე, ზარალს შეაფასებს დამოუკიდებელი საექსპერტო დაწესებულება. ექსპერტიზასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს გაიღებს ექსპერტიზის დანიშვნის ინიციატორი მხარე, ხოლო თუ ექსპერტიზის დანიშვნა ორივე მხარის ინიციატივაა, საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე ექსპერტიზასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი თანაბრად გადანაწილდება ჩვენ შორის.

2.5 გამონაკლისები ავტოტრანსპორტის ძარის დაზღვევის სექციისთვის

2.5.1. **არ ანაზღაურდება:**

2.5.1.1. ქურდობით გამოწვეული ზარალი, თუ **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** სარეგისტრაციო მოწმობა ან/და გასაღები დატოვებული იყო **დაზღვეულ ავტოტრანსპორტში**.

2.5.1.2. ქურდობით გამოწვეული ზარალი, **თუ დაზღვეული ავტოტრანსპორტი** დატოვებული იყო ღია მდგომარეობაში (არ იყო ჩაკეტილი), ჩაწეული იყო მინები ან **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** გასაღები გადაცემული იყო **არაუფლებამოსილი მძღოლისთვის.**

2.5.1.3. **დაზღვეული რისკების** გარდა, ნებისმიერი სხვა მიზეზით გამოწვეული ზარალი.

2.5.1.4. **დაზღვეულ ავტოტრანსპორტში/ავტოტრანსპორტზე** დამონტაჟებული **არაქარხნული დეტალების**, მოწყობილობების, აქსესუარების (მათ შორის,

ტელე-აუდიო-ვიდეო აპარატურის) დაზიანებით ან განადგურებით გამოწვეული ზარალი, თუ ამ **არაქარხნული დეტალების** დაზღვევა წინასწარ არ იყო შეთანხმებული ჩვენთან და არ არის მითითებული პოლისში.

თუ არ არსებობს წინასწარი შეთანხმება, **არაქარხნული დეტალების** დაზიანებით გამოწვეული ზარალი ანაზღაურდება ქარხნული დეტალ(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ღირებულების შესაბამისად.

2.5.1.5. **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** დასაკეცი/მოსახსნელი სახურავის (მათ შორის, ტენტი) ან/და მისი მექანიზმის დაზიანებით/განადგურებით გამოწვეული ზარალი, თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2.5.1.6. **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრის ნებისმიერი მიზეზით დაკარგვით ან დაზიანებით გამოწვეული ზარალი.

2.5.1.7. საბურავის დაზიანებით გამოწვეული ზარალი, როდესაც დაზიანებულია მხოლოდ საბურავი, მხოლოდ დისკი ან მხოლოდ საბურავი და დისკი.

2.5.1.8. **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** იმ ნაწილების შეკეთების, ჩანაცვლების ან/და აღდგენის ხარჯები, რომლებსაც **სადაზღვევო შემთხვევამდე ან დაზღვევის გაფორმებამდე** ჰქონდა დაზიანება.

2.5.1.9. დაზიანებული გზის საფარით (არ მოიცავს სავალ ნაწილზე მდებარე საკანალიზაციო, სატელეკომუნიკაციო ჭას) ავტოტრანსპორტის სავალი ნაწილის, ტრანსმისიის, ძრავის, საბურავების და დისკების დაზიანებით გამოწვეული ზარალი.

2.5.1.10. **სადაზღვევო შემთხვევა** დადგა **დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაზღვევის ხელშეკრულებით** დადგენილი წესის შესაბამისად დასურათებამდე.

2.5.1.11. მოტოციკლის, კვადროციკლის, ბრონირებული, ანტიკვარული, სპეც. შეკვეთით დამზადებული, ავტომობილების უნიკალური მოდელების, ასევე, ავტომობილების, რომლებშიც დამონტაჟებულია აპარატურა/დანადგარი, დაზიანება.

2.5.1.12. **შეჩერების** პერიოდის დასრულების შემდგომ დაზღვევის პირობებით დადგენილი წესის შესაბამისად **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** დასურათებამდე დამდგარი ზარალი ან ზიანი, გარდა მიწისძვრით დამდგარი ზიანისა.

2.5.1.13. საერთო გამონაკლისებში ჩამოთვლილი შემთხვევებით გამოწვეული ზარალი.

3. სექცია B – მესამე პირ(ებ)ის წინაშე ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა

3.1. დაზღვეული რისკი

3.1.1. **მესამე პირ(ებ)ის წინაშე ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის** სექციით ჩვენ ავანაზღაურებთ ზარალს, რომელიც დაზღვეული ავტოტრანსპორტის მოძრაობის დროს, სადაზღვევო პერიოდში, უფლებამოსილი მძღოლის მიერ ავტოტრანსპორტის მართვის შედეგად მიადგა მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას.

3.2. სადაზღვევო ანაზღაურება და მისი გამოთვლის წესი

3.2.1. **მესამე პირ(ებ)ის წინაშე ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის წარმოშობის შემთხვევაში, დაზღვევის ამ სექციისთვის სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ანაზღაურების ჯამური ლიმიტის ფარგლებში, ჩვენ ავანაზღაურებთ:**

- **მესამე პირ(ებ)ისათვის** გადასახდელ კომპენსაციას, რომელიც დაეკისრა **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** მესაკუთრეს/**უფლებამოსილ მძღოლს** კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **თქვენ** წინააღმდეგ სასამართლოს მიღებული აქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან/და **თქვენ** აღიარეთ სასარჩელო მოთხოვნა.
- სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე **მესამე პირ(ებ)ისათვის** გადასახდელ კომპენსაციას, თუ მისი გადახდა და გადასახდელი კომპენსაციის ოდენობა წინასწარ იქნება **ჩვენთან** წერილობით შეთანხმებული და თუ დაზარალებული წერილობით დაადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი პრეტენზია **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებით.
- **ჩვენთან** წერილობით წინასწარ შეთანხმებულ სასამართლო ან/და სასამართლოს გარეშე ხარჯებს, ასევე **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის გარემოებებისა და ზარალის ოდენობის დასადგენად გაღებულ ხარჯებს, დაზღვევის ამ სექციისთვის განსაზღვრული **ანაზღაურების ჯამური ლიმიტის** 20%-ის ფარგლებში.

- **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის შედეგად დაზარალებული **მესამე პირ(ებ)ის** სიცოცხლის ან/და ქონების გადასარჩენად ან ქონებრივი ზიანის შესამცირებლად გაწეულ გონივრულ ხარჯებს.

3.2.2. **მესამე პირ(ებ)ის გარდაცვალების ან ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში,** დაზღვევის ამ სექციისთვის **სადაზღვევო პოლისით** განსაზღვრული **ანაზღაურების ჯამური ლიმიტის** ფარგლებში, **ჩვენ** ავანაზღაურებთ:

3.2.2.1. **მესამე პირ(ებ)ისათვის** გაწეული გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ხარჯებს, რომელიც დასტურდება შესაბამისი ფინანსური და სამედიცინო დოკუმენტებით.

- **მესამე პირ(ებ)ის** შრომისუნარიანობის სრული ან ნაწილობრივი დაკარგვის შემთხვევაში, **მესამე პირის** მიერ დაკარგულ, დოკუმენტურად დადასტურებულ შემოსავალს, მაგრამ არაუმეტეს უშუალოდ სადაზღვევო შემთხვევამდე ბოლო 12 (თორმეტი) კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული ჯამური შემოსავლისა.
- დამატებით ხარჯებს, რომელიც გამოწვეულია **მესამე პირ(ებ)ის** ჯანმრთელობის დაზიანებით, მათ შორის, მკურნალობით, დამატებითი კვების, მედიკამენტების, პროთეზირების, ზედამხედველობისა და მოვლის, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების შეძენით, პროფესიული გადამზადების საჭიროებით. ეს ხარჯები ანაზღაურდება დაზღვევის ამ სექციისთვის განსაზღვრული **ანაზღაურების ჯამური ლიმიტის** 20%-ის ფარგლებში, თუ აღნიშნულ დამატებით ხარჯებს არ ფარავს სახელმწიფო, სამედიცინო თუ სხვა უფლებამოსილი ორგანო.
- დოკუმენტურად დადასტურებული შემოსავლის იმ ნაწილს, რომელსაც **მესამე პირ(ებ)ის** გარდაცვალების შემთხვევაში დაკარგავენ მის კმაყოფაზე მყოფი შრომისუუნარო პირ(ებ)ი, ან პირ(ებ)ი, რომლებსაც ჰქონდათ უფლება მიეღოთ მისგან სარჩო რეგულარული გადახდის სახით, მაგრამ არაუმეტეს უშუალოდ **სადაზღვევო შემთხვევამდე** ბოლო 12 (თორმეტი) კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული ჯამური შემოსავლისა.

3.2.3. **მესამე პირ(ებ)ის** ქონებისთვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში, დაზღვევის ამ სექციისთვის სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული **ანაზღაურების ჯამური ლიმიტის** ფარგლებში, **ჩვენ** ავანაზღაურებთ:

- ქონების განადგურებისას, როდესაც დაზიანებული ქონება არ ექვემდებარება აღდგენას – განადგურებული ქონების საბაზრო ან აღდგენის ღირებულებას, ქონების ნარჩენი ღირებულების გამოქვითვით.

- ქონების ნაწილობრივი დაზიანებისას, როდესაც დაზიანებული ქონება ექვემდებარება აღდგენას – დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად საჭირო შეკეთების/აღდგენის ხარჯებს.

3.2.4. ერთი შემთხვევის შედეგად ერთზე მეტი მესამე პირის დაზიანება განიხილება ერთ სადაზღვევო შემთხვევად. თუ ასეთ დროს თქვენთვის დაკისრებული ჯამური პასუხისმგებლობა გადააჭარბებს სადაზღვევო პოლისში ამ სექციისთვის განსაზღვრულ ანაზღაურების ჯამურ ლიმიტს, თითოეულ დაზარალებულზე ანაზღაურება განაწილდება ზარალის ჯამურ ოდენობაში მათი ზარალის შესაბამისი პროპორციით, თუ სხვაგვარად არ შევთანხმდებით.

3.3. გამონაკლისები მესამე პირ(ებ)ის წინაშე ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სექციისთვის

3.3.1. **არ ანაზღაურდება:**

3.3.1.1. შემთხვევა, როდესაც დაზარალებულ პირს წარმოადგენთ **თქვენ, მოსარგებლე, დაზღვეული ავტოტრანსპორტის** მესაკუთრე, მათი ან **თქვენი ოჯახის წევრ(ებ)ი** ან **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** მძღოლი ან/და მგზავრები.

3.3.1.2. **ჩვენთან** წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე **მესამე პირ(ებ)ის** წინაშე აღიარებული პასუხისმგებლობა ან/და გაწეული ხარჯები.

3.3.1.3. **მესამე პირ(ებ)ის** ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ან/და გარდაცვალება, **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომიდან 12 (თორმეტი) კალენდარული თვის გასვლის შემდეგ.

3.3.1.4. ფინანსური ზარალი, როდესაც არ იკვეთება **მესამე პირ(ებ)ის** ქონების ან/და ჯანმრთელობის დაზიანება ან/და განადგურება.

3.3.1.5. პოლისში მითითებული ტერიტორიული დაფარვის მიუხედავად, საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მომხდარი შემთხვევები (თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული).

3.3.1.6. საერთო გამონაკლისებში ჩამოთვლილი შემთხვევებით გამოწვეული ზარალი.

4. სექცია C – მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა (MPA)

4.1. დაზღვეული რისკი

4.1.1. დაზღვევა ითვალისწინებს დაზღვეული ავტოტრანსპორტის მოძრაობის დროს, სადაზღვევო პერიოდში, უფლებამოსილი მძღოლის მიერ ავტოტრანსპორტის მართვისას გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზღვეული ავტოტრანსპორტის მძღოლის ან/და მგზავრების სიცოცხლის/ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

4.2. სადაზღვევო ანაზღაურება და მისი გამოთვლის წესი

4.2.1. სადაზღვევო პოლისის შესაბამისი სექციით განსაზღვრული ჯამური სადაზღვევო თანხისა და ერთ პირზე განსაზღვრული ქველიმიტის ფარგლებში, დაზღვევის ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით, ჩვენ ავანაზღაურებთ სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეულ შემდეგ ხარჯებს:

- გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობისა და საავადმყოფომდე მიყვანის ხარჯებს, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.
- საავადმყოფოში მკურნალობისა და ყოფნის შესაბამისი დოკუმენტაციით დადასტურებულ ხარჯებს, მაგრამ არაუმეტეს ერთ პირზე განსაზღვრული ქველიმიტის 20%-ისა.

4.2.2. **დაზარალებულის ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის შემთხვევაში:**
ანაზღაურება გაიცემა ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით, სადაც მაქსიმალური ოდენობა შეესაბამება ერთ პირზე განსაზღვრულ ქველიმიტს (უკვე გაცემული ანაზღაურების გამოქვითვით):

ა)	შეზღუდვის მკვეთრად გამოხატული ხარისხისას	100%
ბ)	შეზღუდვის მნიშვნელოვნად გამოხატული ხარისხისას	60%
გ)	შეზღუდვის ზომიერად გამოხატული ხარისხისას	30%

4.2.3. **დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში:**
ანაზღაურდება ერთ პირზე განსაზღვრული ქველიმიტის 100%, უკვე ანაზღაურებული/მკურნალობისთვის გაწეული ხარჯების გამოკლებით.

სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა გარდაცვლილის კანონისმიერ მემკვიდრეზე.

4.2.4. დაზღვევის ამ სექციისათვის განსაზღვრულია ანაზღაურების ქველიმიტი ერთ პირზე, რომელიც განისაზღვრება დაზღვეულ ავტოტრანსპორტში ადგილების რაოდენობის მიხედვით, კერძოდ, ჯამური ლიმიტი გაიყოფა დაზღვეული ავტოტრანსპორტის დასაჯდომი ადგილების (მძღოლის ადგილის ჩათვლით) რაოდენობაზე, თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4.3. გამონაკლისები მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევის სექციისთვის

4.3.1. **არ ანაზღაურდება:**

4.3.1.1. თუ მძღოლი/მგზავრები გარდაიცვალნენ ან მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა სადაზღვევო შემთხვევიდან 12 (თორმეტი) კალენდარული თვის შემდეგ;

4.3.1.2. საქართველოს ფარგლებს გარეთ მომხდარი შემთხვევები, მიუხედავად პოლისში მითითებული ტერიტორიული დაფარვისა (თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული);

4.3.1.3. საერთო გამონაკლისებში ჩამოთვლილი შემთხვევებით გამოწვეული ზარალი.

ზოგადი პირობები დაზღვევის ყველა სექციისთვის

5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1. თქვენ ვალდებული ხართ:

5.1.1. **დაზღვევის ხელშეკრულების** გაფორმებისას, დაასურათოთ **დაზღვეული ავტოტრანსპორტი,** ჩვენი ავტორიზებული ციფრული აპლიკაციის ან ჩვენი წარმომადგენლის დახმარებით.

5.1.2. დაუყოვნებლივ, წერილობით, შეგვატყობინოთ **დაზღვევის ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში ისეთი არსებითი გარემოებების ცვლილების შესახებ, როგორიცაა ავტოტრანსპორტის გასხვისება, ავტოტრანსპორტის დატვირთვა **მესამე პირის** სასარგებლოდ ან/და დაყადაღება, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება.

5.1.3. მოსარგებლეს და ყველა უფლებამოსილ მძღოლს გააცნოთ წინამდებარე დაზღვევის პირობები.

5.1.4. მოგვცეთ **ჩვენ** ან **ჩვენს** უფლებამოსილ წარმომადგენელს **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** დათვალიერებისა და ფოტოების გადაღების საშუალება, დაზღვევამდე ან/და ნებისმიერ დროს **სადაზღვევო პერიოდის** განმავლობაში.

5.1.5. მიიღოთ ობიექტურად შესაძლო ყველა ზომა **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** გადასარჩენად და ზიანის მოცულობის მაქსიმალურად შესამცირებლად.

5.1.6. დაუყოვნებლივ შეგვატყობინოთ **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი უწყების, შეტყობინების, გზავნილის, აღძრული სარჩელის ან/და სამართლებრივი პროცედურის, გაცხადებული ან შესაძლო/პოტენციური პრეტენზიის შესახებ.

5.1.7. **ჩვენი** ინსტრუქციის (ზეპირი ან წერილობითი) შესაბამისად, უმოკლეს ვადაში, ინსტრუქციის მიღებიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღისა, გადაიყვანოთ დაზიანებული **დაზღვეული ავტოტრანსპორტი ჩვენს** მითითებულ შემკეთებელ ავტოსერვისცენტრში.

5.1.8. **ჩვენი** მოთხოვნის შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების დადგენისა და შემდგომი ანალიზის მიზნებისთვის, მოგვცეთ უფლება და შეუზღუდავი წვდომა დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე, რათა **ჩვენი** წარმომადგენლის ან დამოუკიდებელი ექსპერტიზის მიერ, შესაბამისი მოწყობილობის (Crash Data Retrieval) მეშვეობით მოვახდინოთ **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** მოვლენის მონაცემთა ჩამწერიდან (Event Data Recorder) ან/და **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** ნებისმიერი სხვა მსგავსი მოწყობილობიდან ყველა მასზე არსებული მონაცემის/ინფორმაციის ამოღება.

5.1.9. ჩვენი მოთხოვნის შემთხვევაში, გადმოგვცეთ საკუთრების უფლება:

- **დაზღვეული ავტოტრანსპორტის ნაწილობრივი დაზიანებისას, სადაზღვევო შემთხვევის** შედეგად დაზიანებულ და **ჩვენ** მიერ ჩანაცვლებულ ნაწილებზე.

- **დაზღვეული ავტოტრანსპორტის სრული დაზიანებისას,** თუ სადაზღვევო ანაზღაურებას არ გამოაკლდა განადგურებული ავტოტრანსპორტის ნარჩენი ღირებულება, **სადაზღვევო შემთხვევის** შედეგად **სრულად დაზიანებულ/განადგურებულ** ავტოტრანსპორტზე. უფლების ჩვენთვის გადმოცემისას დაფარული უნდა გქონდეთ **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** მფლობელობასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ყველა ადმინისტრაციული ჯარიმა, საურავი და ხარჯი.

5.1.10. წარგვიდგინოთ მოსარგებლის მიერ ხელმოწერილი სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტი, შეთანხმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5.1.11. სრულად გადაიხადოთ ზარალის ანაზღაურების მომენტისთვის, გადახდის გრაფიკით განსაზღვრული, გადაუხდელი **სადაზღვევო პრემია**.

5.1.12. **ჩვენგან სადაზღვევო ანაზღაურების** მიღების შემდეგ ხელახლა დაასურათოთ შეკეთებული **დაზღვეული ავტოტრანსპორტი** ჩვენი ავტორიზებული ციფრული აპლიკაციის ან **ჩვენი** წარმომადგენლის დახმარებით.

5.1.13. წერილობით შეგვატყობინოთ **დაზღვევის ხელშეკრულების** გაფორმებისას **ჩვენთვის** მოწოდებული მისამართის (რეგისტრაციის ან/და ფაქტობრივი) ან/და მობილურის ნომრის ცვლილების შესახებ.

5.2. ჩვენ უფლებამოსილი ვართ:

5.2.1. **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** გასხვისების, **მესამე პირის** სასარგებლოდ დატვირთვის ან/და დაყადაღების, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემთხვევაში, შემოგთავაზოთ **დაზღვევის** ახალი **ხელშეკრულების** დადება, შეცვლილი პირობებით.

5.2.2. სრულად ვაკონტროლოთ **თქვენ** მიმართ **მესამე პირ(ებ)ის** მიერ წარმოდგენილი პრეტენზიის მოგვარებისათვის საჭირო, კანონით გათვალისწინებული ყველა პროცედურის წარმართვა.

5.2.3. ცალმხრივად შევიტანოთ ცვლილება დაზღვევის პირობებში, **თქვენთვის** შეტყობინების გამოგზავნის გარეშე, თუ ამგვარი ცვლილება აუმჯობესებს **თქვენს** მდგომარეობას ან/და **თქვენთვის ჩვენი** მომსახურების მოწოდების პირობებს.

6. თქვენი ვალდებულებები სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

6.1. **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ, არ ავანაზღაუროთ **სადაზღვევო შემთხვევით** გამოწვეული ზარალი, თუ **თქვენ** არ შეასრულებთ ქვემოთ განსაზღვრულ ვალდებულებებს.

6.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას თქვენ ვალდებული ხართ:

6.2.1. დაგვიკავშირდეთ **ჩვენს** ცხელ ხაზზე (2 42 22 22) და მოგვაწოდოთ სრული ინფორმაცია **სადაზღვევო შემთხვევის** შესახებ:

- <u>დაუყოვნებლივ,</u> თუ დაზიანება გამოწვეული არ არის სტიქიური მოვლენით;
- სტიქიის შემთხვევიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში, თუ დაზიანება გამოწვეულია სტიქიური მოვლენით.

6.2.2. დაუყოვნებლივ გამოიძახოთ საპატრულო პოლიცია (112). საპატრულო პოლიციის გამოძახება არ არის სავალდებულო, თუ:

- სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანდა მხოლოდ დაზღვეული ავტომობილის საქარე მინა;
- სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეულია სტიქიური მოვლენებით.

6.2.3. არ გადააადგილოთ **დაზღვეული ავტოტრანსპორტი** და არ მიატოვოთ შემთხვევის ადგილი საპატრულო პოლიციის და **ჩვენი** წარმომადგენლის მოსვლამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** გადაადგილება ან/და შემთხვევის ადგილის მიტოვება შეთანხმებულია **ჩვენთან** ან მოითხოვა საპატრულო პოლიციამ.

6.3. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ჩვენ უფლებამოსილი ვართ:

6.3.1. უარი ვთქვათ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზარალის ანაზღაურებაზე, თუ **თქვენ** ხელს შეუშლით **ჩვენი** უფლებამოსილების განხორციელებას.

6.3.2. დავათვალიეროთ და დავასურათოთ დაზიანებული **დაზღვეული ავტოტრანსპორტი** და/ან **მესამე პირ(ებ)ის** დაზიანებული ან განადგურებული ქონება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6.3.3. დავნიშნოთ დამოუკიდებელი ექსპერტიზა **დაზღვეული ავტოტრანსპორტისთვის** ან/და **მესამე პირ(ებ)ის** ქონებისთვის მიყენებული ზიანის გარემოებების დადგენისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრის მიზნით.

6.3.4. **ჩვენი** წარმომადგენლის ან დამოუკიდებელი ექსპერტიზის მიერ შესაბამისი მოწყობილობის (Crash Data Retrieval) მეშვეობით მოვახდინოთ **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** მოვლენის მონაცემთა ჩამწერზე (Event Data Recorder) ან **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** ნებისმიერ სხვა მსგავს მოწყობილობაზე ყველა მასზე არსებული მონაცემის/ინფორმაციის ამოღება.

6.3.5. სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების მოკვლევისა და დადგენის მიზნით მივმართოთ შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს და მოვიძიოთ მათგან საჭირო ინფორმაცია.

6.3.6. გადავავადოთ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, თუ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

6.3.7. შევადგინოთ დაზიანებული **დაზღვეული ავტოტრანსპორტის/მესამე პირ(ებ)ის** დაზიანებული ან განადგურებული ქონების შეკეთების/აღდგენის ღირებულების ხარჯთაღრიცხვა.

7. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას წარმოსადგენი დოკუმენტაცია

7.1. **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ, არ ავანაზღაუროთ **სადაზღვევო შემთხვევის** შედეგად დამდგარი ზარალი, თუ თქვენ არ წარმოადგენთ ქვემოთ განსაზღვრულ დოკუმენტაციას ან არასაპატიო მიზეზით დაარღვევთ ქვემოთ განსაზღვრულ ვადას (მაგ.: არ გექნებათ საბუთის წარსადგენი ვადის გადაცილების დასაბუთებული მიზეზი).

სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა თქვენ ვალდებული ხართ წარმოგვიდგინოთ:

7.1.1. წერილობითი განაცხადი ანაზღაურების მოთხოვნაზე, სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების აღწერით.

7.1.2. **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** სარეგისტრაციო მოწმობის ასლი; დაზღვეული ავტოტრანსპორტის **სრული დაზიანების** შემთხვევაში – დაზღვეული ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის ორიგინალი.

7.1.3. **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის დროს დაზღვეული ავტოტრანსპორტის მძღოლის მართვისა და პირადობის მოწმობები, ასევე მძღოლის ალკოჰოლური თრობის ფაქტის დასადგენი სამედიცინო შემოწმების ოქმი ან/და ალკოტესტით შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი.

7.1.4. **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის დამადასტურებელი დოკუმენტები კომპეტენტური ორგანოებიდან, შემდეგი დეტალების მითითებით: ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილი და თარიღი, შემთხვევის ყველა მონაწილის ვინაობა, შემთხვევის დადგომაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის სახელი, გვარი, მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, საგზაო შემთხვევის სქემა.

7.1.5. მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

7.1.6. სრული დაზიანების შემთხვევაში, ცნობა შსს-დან ავტომობილის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.

7.1.7. ოფიციალური ან სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რაც აუცილებელია ზარალის დასარეგულირებლად.

7.1.8. სხვა დამატებითი საბუთ(ებ)ი/ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რაც სადაზღვევო შემთხვევის გარემოებებიდან გამომდინარე საჭიროა ზიანის გამომწვევი მიზეზების ან/და ზარალის მოცულობის დასადგენად.

7.1.9. ჩვენი მოთხოვნის შემთხვევაში, თქვენ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ორიგინალები, ხოლო მესამე პირ(ებ)ისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში – დამატებით მესამე პირ(ებ)ისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება.

7.2. დაზღვეული ავტოტრანსპორტის ქურდობის/ძარცვის/ყაჩაღობისას თქვენ ვალდებული ხართ დამატებით წარმოგვიდგინოთ:

7.2.1. **ქურდობის შემთხვევაში, დაზღვეული ავტოტრანსპორტის** ქარხნული გასაღებების კომპლექტი, სარეგისტრაციო მოწმობის ორიგინალი, სიგნალიზაციის მართვის პულტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

7.2.2. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილების ასლი.

7.2.3. დაკარგულ **დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე** გაცემული ნებისმიერი მინდობილობის დედანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

7.3. მესამე პირ(ებ)ისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში:

7.3.1. შეტყობინება დაზარალებული **მესამე პირ(ებ)ის** მიერ **თქვენთვის** პრეტენზიის წაყენების თაობაზე.

7.3.2. **მესამე პირ(ებ)ის** ქონების/სიცოცხლის/ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

7.3.3. **მესამე პირ(ებ)ის** ქონების/ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებასა და მკურნალობასთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაცია და დოკუმენტაცია (დოკუმენტები სამედიცინო დაწესებულებიდან – გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტები, სამედიცინო ჩანაწერები (ფორმა N100) და გაწეული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტების დედნები, სპეციალისტთა კონსულტაციების, ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევების პასუხები/დასკვნები და ა.შ.).

7.3.4. მოსარგებლის პირადობის მოწმობის ასლი (ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი).

7.3.5. ქონების დაზიანების შემთხვევაში, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს **მესამე პირ(ებ)ის** საკუთრების უფლებას დაზიანებულ ქონებაზე.

7.4. მესამე პირ(ებ)ის გარდაცვალების შემთხვევაში:

7.4.1. **მესამე პირ(ებ)ის** გარდაცვალების მოწმობა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა გარდაცვალების შესახებ.

7.4.2. დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარდაცვლილი **მესამე პირ(ებ)ის** მოსარგებლის მიერ **სადაზღვევო ანაზღაურების** მიღების უფლებამოსილებას (სამკვიდრო მოწმობა, რომელიც განსაზღვრავს მემკვიდრის წილს მამკვიდრებლის სამკვიდრო მასაში).

7.4.3. იმ შემთხვევაში, თუ **თქვენსა** და დაზარალებულ **მესამე პირ(ებ)ს** შორის მიმდინარეობს დავა მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით, **სადაზღვევო ანაზღაურების** გაცემის საფუძველს წარმოადგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს **თქვენს** პასუხისმგებლობას **მესამე პირ(ებ)ისთვის** მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. ამასთან, **ჩვენ** ვთავისუფლდებით **სადაზღვევო ანაზღაურების** გაცემის ვალდებულებისგან, თუ საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე **თქვენ**, **ჩვენთან** წერილობითი შეთანხმების გარეშე, ცნობთ სარჩელს ან მის რომელიმე ნაწილს.

8. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვადები და წესი

8.1. გადაწყვეტილებას **სადაზღვევო ანაზღაურების** გაცემისა და მისი ოდენობის შესახებ **ჩვენ** მივიღებთ სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების დადგენისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრისათვის საჭირო საბუთების სრულყოფილად მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8.2. **სადაზღვევო პერიოდის** განმავლობაში **ჩვენი** ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა შემოიფარგლება შესაბამისი სექციისთვის განსაზღვრული **სადაზღვევო თანხის/ანაზღაურების ჯამური ლიმიტით/ქველიმიტით** და მცირდება ყოველი ანაზღაურებული თანხ(ებ)ის ოდენობით.

მაგალითი

ავტომობილის პოლისით გათვალისწინებული **სადაზღვევო თანხაა 20 000 ლარი**, **ფრანშიზა – 500 ლარი.** დაზიანების მომენტისთვის ავტომობილის **საბაზრო ღირებულებამ** შეადგინა **40 000 ლარი**, **აღდგენის ღირებულებამ – 4 000 ლარი**. ამასთან, შეთანხმდა, რომ ავტომობილი დარჩება თქვენს საკუთრებაში.

იმის გათვალისწინებით, რომ ავტომობილის სადაზღვევო თანხასა და მის საბაზრო ღირებულებას შორის **პროპორციაა 50%** (*20 000/40 000*), **ასანაზღაურებელი თანხა** შეადგენს **1 500 ლარს** (4 000 *(აღდგენის ღირებულება)* x 50% *(პროპორცია)* – 500 *(ფრანშიზა)*.

8.3. სადაზღვევო ანაზღაურებას ჩვენ გავცემთ სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტის ორივე მხარის მიერ ხელმოწერიდან ან დისტანციურად დარეგულირებიდან **5 (ხუთი)** სამუშაო დღის ვადაში. **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** ქურდობის, ძარცვის ან/და ყაჩაღობის შემთხვევაში, თუ **დაზღვეული ავტოტრანსპორტი** არ იქნება აღმოჩენილი, სადაზღვევო ანაზღაურებას გავცემთ პოლიციაში ფაქტის გაცხადებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ.

8.4. **დაზღვეული ავტოტრანსპორტის ნაწილობრივი დაზიანებისას სადაზღვევო ანაზღაურება** გადაერიცხება დაზიანებული **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** შემკეთებელ ავტოსერვისცენტრს ან დაზღვეული ავტოტრანსპორტის მესაკუთრეს (ან მის კანონიერ წარმომადგენელს), **ჩვენი** გადაწყვეტილების შესაბამისად.

8.5. **დაზღვეული ავტოტრანსპორტის სრული დაზიანებისას სადაზღვევო ანაზღაურება** გადაერიცხება **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** კანონიერ მესაკუთრეს ან მის კანონიერ წარმომადგენელს. თუ **ჩვენ** გადავწყვიტეთ დავიტოვოთ **სრულად დაზიანებული დაზღვეული ავტოტრანსპორტი, სადაზღვევო ანაზღაურების** გაცემის წინაპირობა იქნება **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** საკუთრების უფლების **ჩვენთვის** გადმოცემა.

8.6. **სადაზღვევო ანაზღაურება** გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

9. სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების წესი

9.1. მოსარგებლის სურვილის შემთხვევაში, **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ **სადაზღვევო შემთხვევა** დავარეგულიროთ ქვემოთ მითითებული ერთ-ერთი ფორმით:

- გავცეთ სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტზე თქვენი პირადი ხელმოწერით დადასტურების საფუძველზე; ან
- გავცეთ სადაზღვევო ანაზღაურება მოსარგებლის მიერ სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტის ელექტრონული ფორმით დადასტურების საფუძველზე; ან
- გავცეთ სადაზღვევო ანაზღაურება მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის სატელეფონო საუბრის გზით დადასტურების საფუძველზე.

9.2. **ჩვენ** ზარალის დარეგულირების პროცესში **თქვენთან** კომუნიკაციისა და სხვადასხვა მომსახურების დისტანციურად გაწევისთვის ვიყენებთ **პრიორიტეტულ ტელეფონის ნომერს**.

9.3. **ჩვენ** ვინახავთ **ზარალის** დარეგულირების პროცესში **ჩვენი** უფლებამოსილი თანამშრომლის **თქვენთან** სატელეფონო საუბრის აუდიო ჩანაწერ(ებ)ს/გამოგზავნილ მოკლე ტექსტურ შეტყობინებ(ებ)ს.

10. საერთო გამონაკლისები დაზღვევის ყველა სექციისთვის

10.1. **ჩვენ** თავისუფალი ვართ **სადაზღვევო ანაზღაურების** გაცემის ვალდებულებისგან, თუ:

10.1.1. ინფორმაცია, რომელიც **თქვენ** მოგვაწოდეთ, არის არასწორი, არაზუსტი, არასრული, ყალბი ან შეცდომაში შემყვანი.

10.1.2. **თქვენ** არ გვაცნობეთ **სადაზღვევო პერიოდში დაზღვეულ ავტოტრანსპორტთან** დაკავშირებული ისეთი არსებითი გარემოებების

ცვლილების შესახებ, როგორიცაა გასხვისება, **მესამე პირ(ებ)ის** სასარგებლოდ დატვირთვა, დაყადაღება, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება.

10.1.3. **თქვენ** არ მოგვეცით უფლება ან/და შეუზღუდავი წვდომა დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე, რათა ჩვენი წარმომადგენლის ან დამოუკიდებელი ექსპერტიზის მეშვეობით, შესაბამისი მოწყობილობის (Crash Data Retrieval) გამოყენებით მოგვეხდინა **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** მოვლენის მონაცემთა ჩამწერიდან (Event Data Recorder) ან/და **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** ნებისმიერი სხვა მსგავსი მოწყობილობიდან, ყველა მასზე არსებული მონაცემის/ინფორმაციის ამოღება სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების დადგენისა და შემდგომი ანალიზის მიზნებისთვის.

10.1.4. **დაზღვეული ავტოტრანსპორტი** გამოიყენებოდა პოლისში მითითებულისგან განსხვავებული **დანიშნულებით**.

10.1.5. ნებისმიერი ზარალი ან ზიანი (მათ შორის, დისკების და/ან საბურავების დაზიანება), გამოწვეული ცხოველის/ფრინველისგან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც დაზიანდა ავტომობილის გარე-ვიზუალური დეტალები (თუნუქის და პლასტმასის), ბამპერები, მაშუქები, სარკეები, მინები.

10.1.6. **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას **უფლებამოსილი მძღოლი** იმყოფებოდა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ, **უფლებამოსილმა მძღოლმა** უარი განაცხადა მდგომარეობის დასადგენად საჭირო ტესტ(ებ)ის/სინჯების ჩაბარებაზე. არ მოგვაწოდეთ შესაბამისი ფაქტის დადგენის დამადასტურებელი დოკუმენტი.

10.1.7. **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას **დაზღვეულ ავტოტრანსპორტს** მართავდა **არაუფლებამოსილი მძღოლი**/მართვის უფლების არმქონე პირი ან პირი, რომელსაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დროებით შეზღუდული, შეჩერებული ან ჩამორთმეული ჰქონდა მართვის უფლება.

10.1.8. ზიანი გამოწვეულია **თქვენი** ან **უფლებამოსილი მძღოლის** განზრახი ქმედებით, უხეში გაუფრთხილებლობით ან მათი მცდელობით. უხეშ გაუფრთხილებლობად შეფასდება საკუთარი ან სხვისი ქონების/სიცოცხლის/ჯანმრთელობის მიმართ გადამეტებული გულგრილობა, ამკრძალავი საგზაო ნიშნების, მოძრაობის წესებისა ან/და სხვა აუცილებელი უსაფრთხოების ნორმების მნიშვნელოვნი უგულებელყოფა.

10.1.9. ზიანი გამოწვეულია თვითმკვლელობით, თვითმკვლელობის მცდელობით, საკუთარი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებით ან ზიანის მიყენების მცდელობით.

10.1.10. **თქვენ,** მოსარგებლემ ან **უფლებამოსილმა მძღოლმა** გააყალბეთ ან შეეცადეთ გაგეყალბებინათ **სადაზღვევო შემთხვევასთან** ან **სადაზღვევო ანაზღაურებასთან** დაკავშირებული ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

10.1.11. დაზღვეული ავტოტრანსპორტის მძღოლი გადაადგილდებოდა საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გამოიწვია მესამე პირის სიცოცხლის/ქონების გადარჩენის აუცილებლობამ.

10.1.12. ზიანი გამოწვეულია **მესამე პირ(ებ)ის** მიერ ჩადენილი თაღლითობით, გამოძალვით, მითვისებით ან ამის მცდელობით.

10.1.13. **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** დაზიანება გამოიწვია ამ **დაზღვეული ავტოტრანსპორტის,** როგორც ტვირთის ტრანსპორტირებამ – ლაფეტით გადაზიდვამ, ბუქსირით გადაადგილებამ ან მისმა დატვირთვა/გადმოტვირთვამ (არ იგულისხმება **ჩვენი** უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** გადაადგილებისას დამდგარი ზარალი).

10.1.14. ზიანი დადგა **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** საჯარიმო სადგომზე დგომის დროს, გარდა სტიქიური მოვლენით გამოწვეული ზიანისა.

10.1.15. **დაზღვეული ავტოტრანსპორტი** დაზიანდა ავტოდრომზე ან მის გარეთ ნებისმიერი სახის რბოლაში/სისწრაფის გამოცდაში/შეჯიბრში (მათ შორის, Off Road), ნებისმიერი სახის ტესტირების (მათ შორის, Test Drive) ან სამაშველო მოქმედებების პროცესში.

10.1.16. **დაზღვეულ ავტოტრანსპორტში** მგზავრთა რაოდენობა აღემატებოდა დასაშვებ რაოდენობას ან გადაჭარბებული იყო დატვირთვის დასაშვები მაქსიმალური ზღვარი/წონა, რამაც გამოიწვია სადაზღვევო შემთხვევა ან გაზარდა ზარალის მოცულობა.

10.1.17. **სადაზღვევო შემთხვევა** დადგა **დაზღვევის ტერიტორიის** ფარგლებს გარეთ.

10.1.18. **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** VIN კოდი/შასის ნომერი არ ემთხვევა **დაზიანებული ავტოტრანსპორტის** VIN კოდს/შასის ნომერს.

10.1.19. **დაზღვეული ავტოტრანსპორტი** დაზიანდა აეროდრომის ან აეროპორტის ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც გამოიყენება თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენად, გადასაადგილებლად, სადგომად, აეროპორტის მომსახურებისთვის განკუთვნილ გზად ან აეროპორტში საბაჟო შემოწმებისთვის.

10.1.20. **დაზღვეული ავტოტრანსპორტი** დაზიანდა სამშენებლო ან/და ისეთ ტერიტორიაზე, რომელზეც ავტოტრანსპორტით გადაადგილება შეზღუდული ან აკრძალულია.

10.1.21. ზარალი გამოწვეულია **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** შეკეთებით გამოწვეული გაუფასურებით.

10.1.22. **სადაზღვევო შემთხვევა** გამოწვეულია **დაზღვეული ავტოტრანსპორტის ტექნიკური გაუმართაობით.**

10.1.23. **ავტოსაგზაო შემთხვევა**, რომელიც მოხდა საავტომობილო გზის, ეზოს, ავტოფარეხის გარდა სხვა ტერიტორიაზე, სადაც არ არის საერთო სარგებლობის გზა, მათ შორის ტყის ან/და მთის მასივი, მდინარის კალაპოტი, ტბა.

10.1.24. **ჩვენთან** წინასწარი შეთანხმების გარეშე დაზიანებული **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** აღდგენაზე/სარემონტო სამუშაოებზე გაწეული ხარჯები.

10.1.25. დაზიანდება **თქვენს** საკუთრებაში, მფლობელობაში ან მინდობილ საკუთრებაში არსებული ქონება ან **თქვენთვის** შესანახად, სამეთვალყურეოდ ან სამართავად მობარებული ქონება.

10.1.26. ისეთი ქონების დაზიანება, რომელიც გადაიზიდებოდა **დაზღვეული ავტოტრანსპორტით** ან მიმაგრებული იყო მასზე ნებისმიერი სახის მისაბმელით.

10.1.27. **დაზღვეული ავტოტრანსპორტი** იყო მართვისთვის/ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში.

10.1.28. ავტომობილის შეკეთების ხარჯები საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არსებული სერვისცენტრის მიერ გაცემული განფასებით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ჩვენ სხვაგვარად არ გადავწყვეტთ.

10.1.29. ორმაგი დაზღვევის არსებობის პირობებში ადგილი ექნება სრული **სადაზღვევო ანაზღაურების** მიღების მცდელობას.

10.1.30. **ჩვენი** წარმომადგენლის მისვლამდე **დაზღვეული ავტოტრანსპორტი** გადაადგილებულია ან **თქვენ** ან **უფლებამოსილ მძღოლს** მიტოვებული გაქვთ შემთხვევის ადგილი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამისათვის არსებობს **ჩვენი** ან საპატრულო პოლიციის გაცემული მითითება.

10.1.31. **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** ტექნიკური მომსახურების, საგარანტიო შეკეთებისა და გასაღების მოპარვის ან დაკარგვის შემთხვევაში, საკეტების გამოცვლის ხარჯები.

10.1.32. ხარჯები, რომელიც აუმჯობესებს **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** დაზღვევამდე არსებულ მდგომარეობას.

10.1.33. ზარალი გამოწვეულია ცვეთით, კოროზიით, დაჟანგვით, თანდაყოლილი დეფექტით, დეფექტური მასალების გამოყენებით და სხვა ბუნებრივი თვისებებით.

10.1.34. ნებისმიერი ტიპის ადმინისტრაციული თუ სხვა სახის ჯარიმა, მათ შორის, საჯარიმო სადგომზე დგომის ხარჯები, მიუღებელი შემოსავლები, მორალური ზიანი, სხვა ავტოტრანსპორტის დაქირავების ღირებულება.

10.1.35. ზიანი გამოწვეულია საომარი მოქმედებით (მიუხედავად იმისა, ომი გამოცხადებულია თუ არა), სამოქალაქო ომით, რევოლუციით, სამხედრო ან უზურპატორული ძალაუფლების გამოყენებით, აჯანყებით, გაფიცვით, სამოქალაქო არეულობით, ტერორისტული აქტით ან ამის მცდელობით.

10.1.36. ზიანი გამოწვეულია იონიზირებული რადიაციით, რადიოაქტიური დაბინძურებით, ნებისმიერი სახის რადიოაქტიური გამოსხივების მქონე ბირთვული საწვავით ან რადიოაქტიური წვის შედეგად მიღებული ნარჩენებით, გარემოს დაბინძურებით, რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო ნაერთების ტრანსპორტირებით.

10.1.37. ზარალი გამოწვეულია კონფისკაციით, დაპატიმრებით, დაკავებით ან სახელმწიფო ორგანოების დავალების საფუძველზე განხორციელებული ქმედებით.

10.1.38. თუ **თქვენ**, მოსარგებლე ან **უფლებამოსილი მძღოლი** არ ასრულებთ **სადაზღვევო პოლისით** ან/და დაზღვევის პირობებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

10.1.39. ზიანი გამოწვეულია ისეთი ქმედებით, რაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, გვაძლევს უფლებას უარი ვთქვათ **სადაზღვევო ანაზღაურების** გაცემაზე.

10.1.40. ზარალი ან ზიანი დადგა **შეჩერების პერიოდში**, გარდა მიწისძვრით დამდგარი ზიანისა.

11. დაზღვევის ხელშეკრულება და მისი ძალაში შესვლის წესი

11.1. **დაზღვევის ხელშეკრულება** ძალაში შედის **სადაზღვევო პოლისში** მითითებული **სადაზღვევო პერიოდის** საწყისი თარიღის 24:00 სთ-ზე და მოქმედებს მასში მითითებული ვადის ბოლო თარიღის 24:00 საათამდე.

11.2. **თქვენ** ვალდებული ხართ სრულად და დროულად გადაიხადოთ სადაზღვევო პრემიის ერთჯერადი ან პირველი ტრანში. აღნიშნული

ვალდებულების შესრულებამდე, ჩვენ თავისუფალი ვართ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისაგან.

12. სადაზღვევო პრემია, მისი გადახდის წესი და გადაუხდელობით გამოწვეული შედეგები

12.1. **სადაზღვევო პრემიის** ოდენობა და გადახდის გრაფიკი მითითებულია **სადაზღვევო პოლისში.**

12.2. თუ **სადაზღვევო პოლისით** განსაზღვრულ ერთჯერად ან პირველ ტრანშს არ გადაიხდით **დაზღვევის ხელშეკრულების** გაფორმების თვის შემდეგი კალენდარული თვის პირველ რიცხვამდე, **ჩვენს** შორის დადებული **დაზღვევის ხელშეკრულება** ანულირდება საწყისი თარიღით, **თქვენთვის** შეტყობინების გამოგზავნის გარეშე.

მაგალითი

დაზღვევის ხელშეკრულება **გაფორმდა 14 მაისს**. თუ **პირველი ტრანშის** გადახდა არ მოხდა **1 ივნისამდე,** დაზღვევის ხელშეკრულება **ანულირდება 14 მაისის** თარიღით.

12.3. **სადაზღვევო პრემიის** მრავალჯერადი გადახდის შემთხვევაში, **სადაზღვევო პოლისში** მითითებული **სადაზღვევო პრემიის** გადახდის გრაფიკის დარღვევის/ვადაგადაცილებისას (იგულისხმება **სადაზღვევო პოლისში** მითითებული გრაფიკით გათვალისწინებული ნებისმიერი გადახდა, გარდა პირველი გადახდისა) **თქვენ** გადახდისთვის დამატებით გაქვთ ორკვირიანი ვადა. თუ **სადაზღვევო პრემიას** არ გადაიხდით ამ 14 (თოთხმეტ) დღიან პერიოდში, 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ დამდგარი ზარალი არ ანაზღაურდება, ხოლო **სადაზღვევო პოლისში** მითითებული გადახდის თარიღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ვადაგადაცილებისას (ოცდამეათე კალენდარული დღის 24 საათზე) **ჩვენ** ცალმხრივად შევწყვეტთ **დაზღვევის ხელშეკრულებას/სადაზღვევო პოლისს.**

მაგალითი

დაზღვევის ხელშეკრულება **გაფორმდა 14 მაისს** და თქვენ ყოველთვიურად იხდით პრემიას, გრაფიკის მიხედვით. მიმდინარე ტრანშის **გადახდის თარიღია 14 აგვისტო.**

<u>სცენარი 1</u>: ავტოსაგზაო **შემთხვევა მოხდა 20 აგვისტოს** და მიმდინარე **ტრანში გადახდილი არ არის**. ვინაიდან 14 აგვისტოდან 27 აგვისტოს ჩათვლით თქვენ გაქვთ 14-დღიანი საშეღავათო პერიოდი და ავტოსაგზაო **შემთხვევა მოხდა საშეღავათო პერიოდის განმავლობაში, ჩვენ ავანაზღაურებთ ზარალს**.

<u>სცენარი 2</u>: ავტოსაგზაო **შემთხვევა მოხდა 28 აგვისტოს** და მიმდინარე **ტრანში გადახდილი არ არის.** ვინაიდან 14-დღიანი საშეღავათო პერიოდი დასრულდა 27 აგვისტოს და ავტოსაგზაო **შემთხვევა მოხდა საშეღავათო პერიოდის დასრულების შემდეგ, ზარალი არ ანაზღაურდება.**

13. სადაზღვევო დაფარვის ნაწილობრივი შეჩერების წესი

13.1. თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ სადაზღვევო დაფარვის ნაწილობრივი შეჩერება **(შემდგომში „დაფარვის შეჩერება“ / „შეჩერება“). დაფარვის შეჩერებისას, თქვენ** მიერ მოთხოვნილი დროით, შეჩერდება **წინამდებარე პირობებით** გათვალისწინებული **სადაზღვევო დაფარვების** მოქმედება. **დაფარვის შეჩერებისას** დაფარული იქნება მხოლოდ მიწისძვრის რისკით გამოწვეული ავტომობილის ძარის დაზიანება ან განადგურება.

13.2. **შეჩერება** შესაძლებელია მხოლოდ ორჯერ (2-ჯერ) **სადაზღვევო პერიოდის** განმავლობაში.

13.3. **შეჩერების** დღეების რაოდენობას ირჩევთ **თქვენ**. ამასთან, ასეთი დღეების რაოდენობა **სადაზღვევო პერიოდის** განამვლობაში არ უნდა აღემატებოდეს ჯამურ 60 (სამოცი) კალენდარულ დღეს.

13.4. **სადაზღვევო პერიოდი** გახანგრძლივდება **შეჩერების** პერიოდით.

13.5. **თქვენ** გაქვთ **შეჩერების** მოთხოვნის უფლება, თუ:

- **სადაზღვევო პოლისით დაზღვეული ავტოტრანსპორტი** არ გამოიყენება **კომერციული დანიშნულებით.**

- **სადაზღვევო პოლისზე** გადახდილია **სადაზღვევო პრემიის** პირველი ან ერთჯერადი ტრანში და **სადაზღვევო პერიოდის** ამოწურვამდე დარჩენილია მინიმუმ 2 (ორი) თვე;
- **სადაზღვევო პოლისზე** არ ფიქსირდება დავალიანება;
- **სადაზღვევო პოლისზე** არ ფიქსირდება ზარალი, რომლის რეგულირებაც ჯერ არ არის დასრულებული;
- **შეჩერების** მოთხოვნის თარიღსა და უშუალოდ შეჩერების გააქტიურების თარიღებს შორის სხვაობა არ აღემატება 14 (თოთხმეტი) კალენდარულ დღეს;

13.6. **სადაზღვევო პოლისზე** შეჩერების პერიოდი გააქტიურდება **თქვენ** მიერ მოთხოვნილი თარიღის 24:00 საათზე და დასრულდება (სრული დაფარვა აღდგება) **თქვენ** მიერ მოთხოვნილი შეჩერების დასრულების თარიღის 24:00 საათზე.

13.7. **თქვენ** უფლება გაქვთ **შეჩერების** პერიოდს დასრულებამდე არაუადრეს 7 (შვიდი) დღისა მოითხოვოთ **შეჩერების** პერიოდის ვადაზე ადრე დასრულება (სრული დაფარვის აღდგენა). თუ **თქვენ** მოითხოვთ **შეჩერების** ვადაზე ადრე დასრულებას 18:00 საათამდე, **შეჩერების** პერიოდი დასრულდება იმავე დღის 24:00 საათზე, ხოლო თუ **შეჩერების** ვადაზე ადრე დასრულებას მოითხოვთ 18:00 საათის შემდეგ - **შეჩერების** პერიოდი დასრულდება მოთხოვნის მიღების შემდეგი კალენდარული დღის 24:00 საათზე.

13.8. **სადაზღვვეო პოლისზე** მრავალჯერადი გადახდის შემთხვევაში, **შეჩერების** პერიოდში **თქვენ** არ გაქვთ **სადაზღვევო პრემიის** გადახდის ვალდებულება. **სადაზღვევო პრემიის** გადახდის ვალდებულება გაგრძელდება **შეჩერების** პერიოდის დასრულების შემდგომ, გადახდის ახალი გრაფიკის შესაბამისად.

13.9. **შეჩერების** პერიოდის დასრულებისას **თქვენ** ვალდებული ხართ დაასურათოთ **დაზღვეული ავტოტრანსპორტი** ჩვენი ავტორიზებული ციფრული აპლიკაციის ან ჩვენი წარმომადგენლის დახმარებით. დასურათებამდე, ავტომობილის ძარის დაზღვევის სექციის ფარგლებში, **ჩვენ** თავისუფალი ვართ მიწისძვრის გარდა ნებისმიერი სხვა რისკით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისგან, ხოლო მესამე პირთა წინაშე ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისა და მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევის სექციების ფარგლებში, ასეთების არსებობისას, დამდგარი ზარალი ანაზღაურდება წინამდებარე პირობების შესაბამისად.

13.10. **შეჩერების** პერიოდში პოლისზე შეჩერდება ავტო ასისტანსის და რეცხვის სერვისების მოქმედება.

14. სადაზღვევო პრემიის გადახდის წესი დაზღვევის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში

14.1. თუ **სადაზღვევო პრემიის** გადახდის 30 (ოცდაათი) დღიანი ვადაგადაცილების მიზეზით **ჩვენ** გაგიუქმებთ **დაზღვევის ხელშეკრულებას**, **თქვენ** ვალდებული ხართ სრულად გადაიხადოთ **დაზღვევის ხელშეკრულების** გაუქმების თარიღისთვის გამომუშავებული **სადაზღვევო პრემიის გადაუხდელი ნაწილი.**

14.2. თუ **თქვენ** ვადაზე ადრე შეწყვეტთ **დაზღვევის ხელშეკრულებას** და **დაზღვევის ხელშეკრულების** შეწყვეტამდე **ჩვენ** არ გაგვიცია სადაზღვევო ანაზღაურება ან შეწყვეტის მომენტისთვის არ მიმდინარეობს **თქვენი** ზარალის განხილვა, **თქვენ** ვალდებული ხართ:

- სრულად გადაიხადოთ **დაზღვევის ხელშეკრულების** გაუქმების თარიღისთვის გამომუშავებული **სადაზღვევო პრემიის გადაუხდელი ნაწილი;**
- გადაიხადოთ **დაზღვევის ხელშეკრულების** ვადაზე ადრე შეწყვეტის პირგასამტეხლო, **გამოუმუშავებელი** პრემიის 10%-ის ოდენობით.

მაგალითი

დაზღვევის ხელშეკრულება **გაფორმდა 1 იანვარს** 1 წლის ვადით და **გაუქმდა 265 დღის** თავზე. **წლიური პრემია** შეადგენს **730 ლარს,** ხოლო **გადახდილი პრემია – 500 ლარს.**

- **გამომუშავებული პრემია** შეადგენს **530 ლარს**, რომელიც გამოთვლილია შემდეგი სქემის მიხედვით:

$$\frac{730 \text{ ლარი } \textit{(წლიური პრემია)}}{365 \text{ დღე } \textit{(დაზღვევის ხელშეკრულების ხანგრძლივობა)}} \times 265 \text{ დღე } \textit{(დაზღვევის ხელშეკრულების ძალაში ყოფნის პერიოდი)}$$

- **გამოუმუშავებელი პრემია** წარმოადგენს წლიური და გამომუშავებული პრემიების სხვაობას და შეადგენს **200 ლარს** *(730 (წლიური პრემია) – 530 (გამომუშავებული პრემია))*.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თქვენ მიერ **გადასახდელი პრემია** შეადგენს **50 ლარს** *(530 (გამომუშავებული პრემია) – 500 (გადახდილი პრემია) + 200 (გამოუმუშავებელი პრემია) x 10%)*.

14.3. თუ **თქვენ** სხვა ავტოტრანსპორტის დაზღვევის მიზნით ვადაზე ადრე შეწყვეტთ **დაზღვევის ხელშეკრულებას** და შეწყვეტამდე არ მომხდარა **სადაზღვევო შემთხვევა,** ამასთან, ხელშეკრულების გაუქმებისთანავე, 1 (ერთი) წლიანი **დაზღვევის ხელშეკრულების** საფუძველზე დააზღვევთ ახალ ავტომობილს, თქვენ არ დაგეკისრებათ **გამოუმუშავებელი** პრემიის 10%, თუმცა ვალდებული ხართ სრულად გადაიხადოთ **დაზღვევის ხელშეკრულების** გაუქმების თარიღისთვის გამომუშავებული და გადაუხდელი **სადაზღვევო პრემია.**

14.4. თუ **თქვენ** ვადაზე ადრე შეწყვეტთ **დაზღვევის ხელშეკრულებას** და **დაზღვევის ხელშეკრულების** შეწყვეტამდე, მიმდინარე დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე, **ჩვენ** გავეცით სადაზღვევო ანაზღაურება ან შეწყვეტის მომენტისთვის მიმდინარეობს **თქვენი** ზარალის განხილვა, **თქვენ** ვალდებული ხართ, სრულად გადაიხადოთ **სადაზღვევო პოლისით** გათვალისწინებული ჯამური **სადაზღვევო პრემია**, **ჩვენ** მიერ ანაზღაურებული თანხის ოდენობისა და **დაზღვევის ხელშეკრულების** ძალაში ყოფნის პერიოდის მიუხედავად.

14.5. თუ **დაზღვევის ხელშეკრულება** წყდება **დაზღვეული ავტოტრანსპორტის სრული დაზიანების** მიზეზით, ასანაზღაურებელ თანხას გამოაკლდება **სადაზღვევო პოლისით** განსაზღვრული ჯამური **სადაზღვევო პრემიის** გადაუხდელი ნაწილი.

15. დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის წესი

15.1. დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედება შესაძლოა შეწყდეს:

15.1.1. **თქვენი** ინიციატივით, ნებისმიერ დროს, **დაზღვევის ხელშეკრულების** გაუქმებაზე 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე, ჩვენთვის წერილობითი მოთხოვნის გამოგზავნის გზით.

15.1.2. **ჩვენი** ინიციატივით, ნებისმიერ დროს, **თქვენთვის დაზღვევის ხელშეკრულების** გაუქმებაზე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე **თქვენთვის** შეტყობინების გამოგზავნის გზით.

15.1.3. ჩვენი ინიციატივით, ნებისმიერ დროს, **თქვენთვის დაზღვევის ხელშეკრულების** გაუქმებაზე წერილობითი შეტყობინების გამოგზავნის გზით, თუ გამოვლინდება, რომ თქვენი მოწოდებული ინფორმაცია არის არაზუსტი, არასრული, ყალბი ან შეცდომაში შემყვანი.

15.1.4. ჩვენი ინიციატივით, დაზღვეული ავტოტრანსპორტის გასხვისების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში, დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმებაზე 1 (ერთი) თვით ადრე შეტყობინების გამოგზავნის გზით.

15.1.5. ჩვენი ინიციატივით, თქვენთვის წინასწარი შეტყობინების გამოგზავნის გარეშე, თუ:

- **ჩვენი მხრიდან** შესაბამისი **სადაზღვევო პოლისით** ნაკისრი ვალდებულებები სრულადაა შესრულებული/ამოწურულია **სადაზღვევო პოლისით** განსაზღვრული **ანაზღაურების ჯამური ლიმიტი.**
- **დაზღვეული ავტოტრანსპორტი** აღარ არსებობს და ეს გამოწვეულია **სადაზღვევო რისკისგან** განსხვავებული, ნებისმიერი სხვა მიზეზით.
- **დაზღვეული ავტოტრანსპორტის** სრული დაზიანება / განადგურების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა გავეცით თუ არა **სადაზღვევო ანაზღაურება**. .
- **სადაზღვევო პოლისით** განსაზღვრული გადახდის გრაფიკის ვადაგადაცილება აჭარბებს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს.

15.2. დაზღვევის ხელშეკრულება ასევე შეწყდება:

15.2.1. **სადაზღვევო პოლისით** განსაზღვრული **სადაზღვევო პერიოდის** დასრულებისას.

15.2.2. **თუ ჩვენ** შევწყვეტთ **ჩვენს** საქმიანობას კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

15.2.3. ჩვენ შორის გაფორმებული წინასწარი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15.2.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. რეგრესი/სუბროგაცია

16.1. **სადაზღვევო ანაზღაურების** გაცემის შემდეგ, გაცემული ანაზღაურების ფარგლებში, ზიანზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიმართ მოთხოვნის უფლება გადმოდის **ჩვენზე**.

16.2. **თქვენ**/მოსარგებლე ვალდებული ხართ გადმოგვცეთ ყველა ის დოკუმენტი და ინფორმაცია, რაც აუცილებელია ზიანზე პასუხისმგებელი **მესამე პირ(ებ)ის** მიმართ **ჩვენი** მოთხოვნის წაყენებისა და ამ უფლების აღსრულებისათვის.

16.3. **თქვენ**/მოსარგებლე ვალდებული ხართ, თქვენი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობების ფარგლებში, ხელი შეგვიწყოთ რეგრესის უფლების განხორციელებაში და მოგვცეთ უფლება, **თქვენი** სახელით წარვმართოთ და გავაკონტროლოთ ზარალის დარეგულირების სრული პროცესი.

16.4. იმ შემთხვევაში, თუ **თქვენ**/მოსარგებლე უარს იტყვით ზიანზე პასუხისმგებელი **მესამე პირ(ებ)ის** მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლების **ჩვენთვის** გადმოცემაზე ან ასეთი უფლების გამოყენება შეუძლებელი იქნება **თქვენი**/მოსარგებლის ქმედებით, **ჩვენ** ვთავისუფლდებით **სადაზღვევო ანაზღაურების** გადახდის ვალდებულებისგან, ხოლო თუ **სადაზღვევო ანაზღაურება ჩვენ** უკვე გადახდილი გვაქვს, წარმოგვეშვება გადახდილი ანაზღაურების უკან მოთხოვნის უფლება.

17. ორმაგი დაზღვევა

17.1. **თქვენ**/მოსარგებლე ვალდებული ხართ წერილობით შეგვატყობინოთ სხვა სადაზღვევო კომპანიებთან იმავე **სადაზღვევო დაფარვებით** გაფორმებული **დაზღვევის** ყველა **ხელშეკრულების** შესახებ.

17.2. ორმაგი დაზღვევის შემთხვევაში, **ჩვენი** მონაწილეობა დამდგარ ზარალში განისაზღვრება ჯამურ ვალდებულებაში **ჩვენი** წილის პროპორციულად.

18. შეტყობინებები და კომუნიკაცია

18.1. **თქვენთან** კომუნიკაციისთვის (მათ შორის, ზარალ(ებ)ის დარეგულირების **პროცესში) ჩვენ გამოვიყენებთ პრიორიტეტულ მისამართს/პრიორიტეტულ ტელეფონის ნომერს/პრიორიტეტულ ელექტრონული ფოსტის მისამართს.**

18.2. **პრიორიტეტულ მისამართზე ჩვენი** გამოგზავნილი წერილი ან **პრიორიტეტულ ტელეფონის ნომერზე/პრიორიტეტულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე** გამოგზავნილი შეტყობინება (მათ შორის, მოკლე ტექსტური შეტყობინება) ჩაითვლება **ჩვენს** ოფიციალურ, წერილობით შეტყობინებად.

18.3. შეტყობინების მიღების დღედ ითვლება თქვენს **პრიორიტეტულ ტელეფონის ნომერზე/პრიორიტეტულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ჩვენი** შეტყობინების გამოგზავნის დღე.

18.4. **პრიორიტეტულ მისამართზე ჩვენი გამოგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება/კორესპონდენცია ჩაითვლება, რომ თქვენ მიიღეთ, მიუხედავად იმისა, იმყოფებით თუ არა ამ მისამართზე ან რამდენად სწორად/ზუსტად იყო მოწოდებული ჩვენთვის მისამართის დეტალები.**

19. დავათა გადაწყვეტა

19.1. დაზღვევის პირობებთან დაკავშირებით ჩვენ შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. თუ საკითხის გადაწყვეტა მოლაპარაკების გზით შეუძლებელია, დავა განიხილება და გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს საერთო სასამართლოში.

19.2. დაზღვევის პირობების უცხოენოვან და ქართულ ვერსიებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ქართულ ვერსიას.

20. კონფიდენციალობა

20.1. ერთმანეთისთვის ნებისმიერი ფორმით (ზეპირი ან წერილობითი) მიწოდებული ყველა ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად და არ შეიძლება მისი მესამე პირ(ებ)ისათვის გადაცემა მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

21. პერსონალური მონაცემების დამუშავება

21.1. **ჩვენ** პერსონალურ მონაცემებს დავამუშავებთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებისა და ზარალის დარეგულირების მიზნებისთვის. ამასთან, **თქვენ** ადასტურებთ, რომ **მზღვეველი** უფლებამოსილია ნებისმიერი დაწესებულებიდან გამოითხოვოს **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია. **ჩვენ** ასევე უფლებამოსილი ვართ ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებიდან, მათ შორის, სს „თიბისი დაზღვევის“ მონათესავე/აფილირებული/საერო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიისგან, შსს მომსახურების სააგენტოდან და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან გამოვითხოვოთ

თქვენი/მოსარგებლის ან/და **სადაზღვევო პოლისით** განსაზღვრული ნებისმიერი **უფლებამოსილი მძღოლის** პერსონალური ინფორმაცია ან/და სხვა საჭირო დოკუმენტაცია **ჩვენთვის** კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მიზნით.

21.2. პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება სს თიბისი დაზღვევის „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის“ შესაბამისად, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე www.tbcinsurance.ge. **თქვენ** შეგიძლიათ ისარგებლოთ **თქვენი**, როგორც მონაცემთა სუბიექტის უფლებებით, მათ შორის მოითხოვოთ წვდომა **თქვენ** მიერ მიწოდებულ მონაცემებზე, ასევე მოგვთხოვოთ **ჩვენ** გავასწოროთ, განვაახლოთ, დავამატოთ, დავბლოკოთ, წავშალოთ ან გავანადგუროთ **თქვენი** მონაცემები, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

21.3. **თქვენ** გვანიჭებთ უფლებამოსილებას, სადაზღვევო მომსახურების შეთავაზების ან/და ხარისხის ან/და დაზღვევასთან დაკავშირებული კვლევ(ებ)ის მიზნით დავამუშაოთ, მათ შორის, პარტნიორი ორგანიზაციებისთვის ხელმისაწვდომი გავხადოთ **თქვენი**/მოსარგებლის ან/და **სადაზღვევო პოლისით** განსაზღვრული ნებისმიერი **უფლებამოსილი მძღოლის** <u>პერსონალური მონაცემები.</u>